



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოლა

კოლა, მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მოიცავს მდ. მტკვრის სათავეს ქვაბულს (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.). სავარაუდოდ, სახელწოდება წარმოდგება კოლხას ტომის სახელისაგან. უძველესი აბორიგენი მოსახლეობაც დასავლურ-ქართული უნდა ყოფილიყო. იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV ს.) კ. მისი შემადგენელი ნაწილი გახდა, წარმოადგენდა სამხ.-აღმ. ერთეულს და შედიოდა წუნდის საერისთავოში. ძვ. წ. II-I სს-ში კ. სომხ. სამეფოს მფლობელობაში იყო, ახ. წ. I-II სს-ში იბერიას დაუბრუნდა. უძველესი დროიდან კ-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა, რ-იც საქართველოს წინა აზიასთან აკავშირებდა. IX-XI სს-ში ქართველთა საკურაპალატოში შედიოდა. XI ს. დასაწყისში კ-ში მოხდა დიდი ბრძოლა მეფე გიორგი I-ისა და ბიზანტიის კეისარ ბასილის ლაშქარს შორის (იხ. სტ. შირიმნის ბრძოლა 1021). XII ს-ში აქ საქართვე. მეფეებს საზაფხულო სადგომი ჰქონდათ. კ-ს მხარეში, სოფ. დადაშენში, იყო დადაშენის საეპისკოპოსოს კათედრალი. XVI ს-ში კ. საქართვე. სხვა ტერიტ. ნაწილებთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1-2, თბ., 1955-59; ქართლის ცხოვრება, მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ., 2008.

დ. მუსხელიშვილი
